საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

შპს ,, რუსელოის"-ის

(ს/კ 404504327)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 30 დეკემბრის N21/8421 ხარვეზის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ კომპანიას არ აქვს მიღებული წერილში მითითებული 2022 წლის 28 ოქტომბრის **N21/5804 წერილი.** სამინისტროში ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა რომ, აღნიშნული ნომრით რეგისტრირებული წერილი ეხება საგზაო დეპარტამენტის სამსახურს.

2022 წლის 28 ოქტომბრის N21/6472 და **2022 წლის 15 დეკემბრის N 21/7794** წერილის საფუძველზე 2022 წლის 19 დეკემბერს შპს ,,რუსელოის"-ის მიერ სკრინინგის ანგარიშით წარმოდგენილი იქნა საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით მოთხოვნილ და საზუსტებელი საკითხები, ამავდროულად 2022 წლის 30 დეკემბრის **N21/8421 ხარვეზის** წერილით განმეორებით იქნა მოთხოვნილი იგივე საკითხები.

1. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების გარდა სხვა არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობის შესაძლებლობის შეფასება და შესაბამისი ხარისხობრივი მაჩვენებლები; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 19-20)**
2. წარმოდგენილ უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც საწარმოო ჩამდინარე წყალთან ერთად, ასევე დატანილი იქნება სანიაღვრე და შლამსაცავებიდან და კუდსაცავიდან ნაჟური წყლების შემკრები სისტემის, აღნიშნული სისტემის გამწმენდ ნაგებობასთან მიერთების და გაწმენდილი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. ჩოლაბური) ჩაშვების შესახებ ინფორმაცია; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 10)**
3. სკრინინგის განცხადების თანახმად (თავი 2), სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება თვითმცლელი ავტომობილებით. დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ავტომობილების ძარის რეცხვისა და ნარეცხი წყლის გაწმენდის და ჩაშვების საკითხები; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 9, 30.)**
4. წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანების მოძრაობის მარშრუტ(ებ)ი, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ასევე უნდა შეფასდეს ტრანსპორტირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 31-32)**
5. ვინაიდან სკრინინგის ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა მონაცემები, დაზუსტებას საჭიროებს მადნის გაცხრილვის შემდეგ წარმოქმნილი ფრაქციის ზომა; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 8)**

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალექარში დაგროვილი ნარჩენი შლამის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამშენებლო მიზნებისათვის, შემავსებელ მასალად, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა საქმიანობაში.

გარემოს ეროვნულ სააგენტო
"18" 01 2023 წ
№ 315

ვინაიდან, შლამი წარმოადგენს ნარჩენს, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის (შლამის) საბოლოო მართვის საკითხი; (იხსკრინინგის ანგარიშის გვ. 23-24, 32. ლამის და შლამის მართვის საკითხი)

წარმოგიდგენთ, ქ. თერჯოლაში (საკ. კოდი: 33.09.43.028), ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული შპს ,,რუსელოის''-ის (ყოფილი შპს ,,ა.დ.ვ.-ტოგო'') მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით., ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილის ფორმატში) და shp ფაილებთან ერთად

პატივისცემით,

შპს ,, რუსელოის'-ს
დირექტორი: ნ. კევლიშვილი

15/01/2023 წელი